

საქართველო



წესი 10 მან. პარასკევი, სექტემბრის 17 1920 წ.

საქართველოს სახალხო

საქართველოს სახალხო... მთავრობის მოაზრებით, უფლებადიური გაწეით...

მოსიძეობის განმარტება

განმარტების მინისტრის... იუსტიციის მინისტრის...

11 სექტემბერი, 1920 წ., № 326. დაინიშნა: სასამართლოს თანამდებობათა...

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა

13 სექტემბერი, 1920 წ., № 328. გამოცემის მოსამსახურეთა სიიდან გარდაცვალების...

14 სექტემბერი, 1920 წ., № 329. დაგზავნილი რა სამსახურის საქმეებისა გამო გორის მაზრაში...

ტფილისის გარე უბნის მომრიგებელ მოსამართლისა

დათხოვნილია: თარჯიშანი ტფილისის გარე უბნის...

სუფსის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა

1 მარტი, 1920 წ., № 3. დაინიშნა: სასამართლოს მსახურათა ზეპირი...

17 აპრილი, 1920 წ., № 4. განთავისუფლებულია: სამსახურიდან სასამართლოს...

1 მაისი, 1920 წ., № 5. განთავისუფლებულია: სამსახურიდან სასამართლოს...

განთავისუფლებულ იქნა: სასამართლოს მდივნის თანამდებობის...

10 მაისი, 1920 წ., № 8. დაინიშნა: სასამართლოს კანცელარიის გადამწერათ...

1 ივნისი, 1920 წ., № 9.

განთავისუფლებულ იქნა: სასამართლოს კანცელარიის...

მანგლისის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა

13. ჩარიცხულ იქნა: მანგლისის სამომრიგებლო უბნის...

14. ამავე სასამართლოს კანცელარიის მოხელე ლეონიდე...

15. მოქალაქე ელისაბედ კონსტანტინეს ასული არაონიშვილისა...

16. მსახური მიხეილ იაროვი, თანახმად თვისი თხოვნისა...

17. მანგლისის მოქალაქე ნიკოლოზ ჩუბინიძისა...

კოვი, თანახმად თხოვნისა მიღებულ იქნა

სასამართლოს მსახურის, თავისუფალ აღიარებულ...

საბაგოს ნაწილის უფროსისა

4 მაისი, 1920 წ., № 26. ინიშნება: ტფილისის საბაგოში: გადასახდით...

სოხუმის საბაგოში: ორმწიროს საბაგოს გამგის თანამდებობა...

ორმწიროს საბაგოში: სოხუმის საბაგოს ბუხალტრის...

გულაუთის საბაგოში: სოხუმის საბაგოს გამგის თანამდებობის...

შემოადინებული პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე...

საქართველოს სახალხო

საქართველოს სახალხო

ქუჩებში

15 სექტემბერს ჯერ კიდევ დილის 8 საათი არ იყო, რომ ტფილისის ქუჩებში ახმაურდნენ...

გაგზაღზე

გაგზაღი განსაკუთრებით არა ჩვეულებრივად იყო მოკაზმული...

აღსრულდა, გვამცნო მუსიკის ხმამ სტუმრების მოახლოება...

ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვა

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ დელეგაციის წევრებს...

ძიობი წინასწარ ჩვენი იდეალების განსახორციელებლად...

განდერგაღდეს სიტყვა

ნება მომეცით გამოვსთქვა ჩემი აღფრთოვანება იმის გამო...

დამფუძნებელ კრებაში

ევროპის სოციალისტთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო...

თიქემ. ევროპის სოც. დელეგაციის მისალმების შემდეგ...

აღ. დამფუძნებელ კრების წევრო! დღეს არა ჩვეულებრივად განცდათა ქართველი...

ზღვრებში. ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ასე მოხდეს. დღეს ჩვენ შორის არიან ისეთი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომ ამას გაუწევინებენ ანგარიშს. დღეს ჩვენ თითქოს ცნობილი ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფოდ და თითქოს არ ვართ ცნობილი. ჩვენ დამოუკიდებლობა უნდა იყოს თვითი ულადაც. საერთაშორისო სრულყოფილებას წევრად. მე მივესალმები ჩვენ ძვ. წ. სტუმრებს და ვეტყვი მათ: კეთილი იყოს თქვენი მომზადება. ძვირფასი სტუმრები ჩვენ ხალხს. გამხსნევენი. პატარა საქართველო საერთაშორისო ევროპის რამში ჩაერთო. მით ნუ დაავიწყდებათ, რომ საქართველო დაამხმარა ბორკლები, მოიშორა რკინის სალტე და შეუდგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. (ტაში).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ლაპარაკობს გ. გიორგაძე.

გ. გიორგაძე. მოქალაქეო, დამფუძნებელი კრების წევრობა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ნება მიბოძეთ მხურვალე ხალხი უძღვანა ევროპის სოციალისტთა ბელადებს და სინდისს. მოქალაქეო! უნაყოფოდ არ ჩაუვლით საქართველოს მშრომელ კლასის ბრძოლას, მშრომელი კლასის ინტერესებისათვის. ხშირად დიდი განსაცდელი სწევთ საქართველოს, მაგრამ მას ამ განსაცდელისგან თავი დაუხრეთ მან შეურყვებლად შესდგა ფეხი იმ საფეხურზე, რომელზედაც ევროპის მუშათა კლასი იმყოფება. დღეს ჩვენთან არიან ჩვენი მასწავლებლები. ეს განსხვავდება ჩვენ ხალხს. ჩვენ ვდგვართ იმ გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ დამოუკიდებელ არსებობას. ევროპის სოციალისტთა დელეგაციას გულწრფელად მიესალმება ძველი კოლხი და ივერია მხოლოდ დღეს, საქართველო, რომელსაც უკავია ხელში სამეფროვანი სახელმწიფოებრივი და სოციალისტური წითელი დროშა.

სოციალ-დემოკრატიის სახელით ლაპარაკობს ბ. აღუქაი-მესხიშვილი.

ბ. აღუქაი-მესხიშვილი. ორატორს ძვირფას სტუმრების ჩამოსვლა საქართველოში, დიდ ყურადღებას მოიხსნა. ჩვენ სოციალ-დემოკრატიის სახელით, ამბობს ორატორი, არსოდეს დამოუკიდებლობა არ მიგვჩანდა. როგორც გარდამავალი კომუნისტი. ჩვენ ყოველთვის დამოუკიდებლობის მომხრენი ვიყავით და ყოველთვის ვამბობდით, რომ შეუძლებელია სოციალიზმის განხორციელება თუ არ განხორციელდა ერთი თვით განთავსულების იდეა. ჩვენ გვაყავს ერთი მეგობარი—სოციალისტური ევროპა და ჩვენი სოციალისტ-დემოკრატიები. გაუმარჯოს ჩვენ სტუმრებს, გაუმარჯოს სოციალისტურ-დემოკრატიას.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სახელით ლაპარაკობს გ. გვაზავა.

გ. გვაზავა. თქვენ ხედავთ გარე ქრთვაში გაქვილებს—ხალხს. ჩვენთან მოვიდნენ სტუმრები. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ მოვწყდით საკაცობრიო კულტურას. ჩვენ მოვწყდით რუსეთს. დღეს იგი თავისთვის არის, ჩვენ თავისთვის. საქართველო უნდა იყოს თავისთვის. იყო ამის ხელშეკრულება და ამის ვერაფერი ვერ წაშლის. შემდეგ ორატორი შეეხო ამერიკის ნოტას, ვილსონის პრინციპებს და ბოლოს დასძინა, რომ ვინც გინდა არ იყოს ჩვენი სტუმარი ყველა დაცვა ჩვენ დამოუკიდებლობას.

ნაციონალურ პარტიის სახელით გ. ვაშაშვილი აღნიშნავს, რომ მათი პარტია წინააღმდეგი იყო დამფუძნებელი კრების ოფიციალურ მოწვევისა. მიესალმება სტუმრებს. ევროპის წარმომადგენელთა შორის ორატორმა აღნიშნა ვანდერველდის მოლაპარაკება, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბელგიის წინაშე. ორატორის აზრით ჩვენ უნდა ყოველთვის ველოდეთ დახმარებას ევროპიდან.

ლ. შენგელაია. (სოც. რევ.) აღნიშნავს, რომ მათი პარტია ბევრში არ ეთანხმება მთავრობას, სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ ჩვენ შორის არის ერთი საერთო აზრი, საერთო სურვილი—ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა.

შემდეგ მიესალმა დაშნაკ-ცაუტინის პარტიიდან ტერ-სტეპანიანიცი.

სხდომის დასასრულს ალ. ლომთათიძე კვლავ მიესალმა ძვირფას სტუმრებს. დამფუძნებელი კრების წევრნი და დამსწრე საზოგადოება აღტაცებით და გულმხურვალე ხალხით ტაშით, ოვაციებით ძვირფას სტუმრებით მიეშურებოდნენ რუსთველის პროსპექტისაკენ, სადაც ზღვა ხალხი ხელ-განაბული ელოდა ძვირფასი სტუმრების ხელვას. აა,

გამოჩნდნენ კიდეც. იგრილა ტაშმა, „გაუმარჯოს ძვირფას სტუმრებს, სოციალიზმს, ინტერნაციონალს“ და სხვა ძახლს დასასრული არა აქვს.

მიტინგები

დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომის შემდეგ 12 საათზე გაიხსნა მიტინგი. სიტყვები წარმოთქვა: საფრ. ნგეთის წარმომადგენელმა რენოდელმა და ინგლისის წარმომადგენელმა ჰოპსონმა, მაკდონალდმა და ჯ. ნო. ლენდინმა, ბელგიის წარმომადგენელმა—დუბრევიერმა. მიტინგს დაესწრო მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, დამფ. კრ. წევრები, —ა. ლომთათიძე, ს. მდივანი, ბ. ჩხიკიშვილი და ის. რამიშვილი.

ევროპის სოციალიზმის წარმომადგენელთა სიტყვები იყო მოკლე და შინაარსიანი: საფრანგეთის წარმომადგენლის სიტყვა: მოსალოდნელი იყო, განაცხადა რენოდელმა, რომ სოციალისტები ცარიზმის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოს აშენების დროს პირველ ხანებში ხალხის და ნგრევის სურათს მოკვებენ. და. საბედნიეროს ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. საქართველოს სოციალისტები ჩაუდგნენ—რა საქმეს სათავეში, სამაგალითო წესრიგი დამყარეს.

ინგლისის წარმომადგენლის სიტყვა.

ჩვენ ვიყავით საბჭოთა რუსეთში, სიტყვა ტომას ზოუმ და შეგვიძლია შევადაროთ ის საქართველოს: რუსეთში ბატონობენ ბოლშევიკები და სამართლიანობისა და სიმართლის დასაცავად უნდა ვიღვივრო, რომ რუსეთის ძალა-უფლებამ არ მისცა რუსის ხალხს არც თავისუფლება, არც ბედნიერება. ჩვენ სულ ცოტა ხანია საქართველოში ვართ, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აქ სოციალიზმმა ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მისცა. ზოუ ინგლისის 6/4 მილიონ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებისა და პარტიის 4 1/2 მილიონ წევრის სახელით მიესალმა საქართველოს.

ორატორი გამოთქვა რწმენას, რომ ინგლისის მუშათა პარტია, მომავალ ბრძოლაში სოციალიზმის დასამყარებლად წავა არა ბოლშევიკური არამედ საქართველო. სოციალისტურ დემოკრატიას გზით. ორატორმა თავის სიტყვა ასე დაასრულა: გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

ენგელის სიტყვა.

ენგელს საქართველოს პროლეტარიატს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სახელით მიესალმა: არ შემაძლია არ გამოთქვა ჩემი გაკვირება, იმ უდიდეს ენერჯის გამო, რომელიც საქართველო ხალხმა სოციალისტურ, ახალ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში გამოიჩინა. ეს მით უმეტეს ძვირფასი და ვასაკვირია, რომ ქართველმა ხალხმა ცარიზმთან მიმე ბრძოლა გადართანა. მაგრამ ამ ბრძოლაში ის გამაგრდა და გვიჩვენა თავისი ძალა და სიბრძნე.

ქ-ან სნოულენის სიტყვა.

მე მივესალმები საქართველოს, რომელიც მე და ჩემთან ერთად მთელ დელეგაციას უკვე შეგვიყვარდა. საქართველო—პირველი ქვეყანაა, რომელმაც დაამტკიცა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის დამყარება ქალისა და საწინელების ხალხის უმრავლესობის სილატაკისა და უფლებების ვარაუდს. ჩემი 15 წლის მუშაობის განმავლობაში მე არას დარს არ მიგრძნია ის, რაც ვგრძნობ და განვიცადე თქვენთან. არსად არ შემხედვრია ასეთი გულწრფელი მიღება ასეთი ხალხის ნამდვილი სიხარული, რომელიც ჩვენ საქართველოში ვხედავთ. დეე იცხოვროს საქართველო სოციალიზმის საკეთილდღეობით, როგორც კარგმა მაგალითმა სხვა ქვეყნებისათვის.

მაკდონალდის სიტყვა.

მე მივესალმები საქართველოს, რომელმაც სახელმწიფოს სოციალისტური გადატრიალება სამაგალითოდ შეასრულა.

დუბრევიერის სიტყვა.

საქართველო სოციალისტის ავანშოტია და ამაშია მისი უდიდესი და მძიმე ვალდებულება. ორატორი ბედნიერათ რაცხს თავს, რომ მთავრობასა და ხალხს შორის ერთსულოვნებას ხედავს.

მიტინგის რეზოლუცია.

დამ. კრ. სადღესასწაულო სხდომის შემდეგ შეკრებილი მრავალი თასიანი მუშათა მიტინგი ესალმება ბრძოლაში გამობრძმენილ ევროპის მუშათა წარმომადგენლებს და იმედს

გამოსთქვამს, რომ ამიერიდან საქართველოსა და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი დაამყარებენ ურთიერთ შორის მტკიცე კავშირს. მათ ერთი ექნებათ სიხარული და მშურებება და ხელი ხელ ჩაკიდებულნი გასწმენდენ გზას სოციალიზმისაკენ. რეზოლუცია ხანგრძლივი ტაშის ცქით იქნა მიღებული.

მუშათა დეპუტატებ. საბჭოს საზეიმო სხდომა.

სექტემბრის 15 საღამოს 7 საათზე სახალხო სახლის შენობის წინ ტუილისის პროლეტარიატი შეკრიბა. მუშათა სახლში მხოლოდ მანდატებით უშვებდნენ. დაბაზი საცხა ხალხით. დამსწრენი ინტერნაციონალს მღერიან. ესტრადა საუბროვით არის შორთული მცენარეებითა და ყვავილებით და აგრეთვე მრ. ქსის, პუნდონის, კაუკასი, ვანდერველდე, ჟორდის, ჟორდისა და წერეთლის სურათებით. დამფ. კრების პრეზიდიუმს და მთავრობის წევრებს ადგალი ესტრადან უქრავთ. სრულ 6 საათზე შეა დაბაზში ესტრადისკენ გაემართენ ვანდერველდე, რენოდელი, ენგელსი, მარკე, გიუსმანსი მეულოით და ქალი-შვილით, ქ-ნ სნოულენი, მაკდონალდი და ზოუ. დელეგაციის წევრები ესტრადან მიგიდის გარშემო სხედან, შეაში ზის ნ. ჟორდანი. 7 საათის დასაწყისზე მუშ. დეპუტატების თავმჯდომარე ნ. ჟორდანი ხსნი სხდომის შემდეგის სიტყვით:

ნ. ჟორდანიას სიტყვა.

მუშათა დეპუტატთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, რომელშიც მონაწილეობენ საქარბნო საფაბრიკო კომიტეტთა და პროფ. კავშირთა წარმომადგენლები, გახსნილ და ვაცხადებ. ტუილისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში დღევანდელი დღე დარს შესანიშნავი დღე დარჩება. ტუილისის პროლეტარიატი პირველად ხდებდა პირისპირ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელთა დღეს მუშებმა ქიქებში მოისმინეს უშუალოდ ამ მუშათა ბელადების აზრები, ფიქრები და სიტყვები. ჩვენ მუშათა წარმომადგენლები შევიკრიბეთ, რათა ქრთვაში ნამოქმედარი ტენაოქვაში აქ უფრო დალაგებულად გამოხატოთ. მე გთხოვთ მიესალმოთ ჩვენს სტუმრებს (ახსიურებული ტაშისცხმა მისასალმებელი სიტყვები გაისმის) დღევანდელი მანიფესტაციის ერთხელ კიდე ვაჩვენებს მასათა ერთსულოვნებას. ჩვენი მუშათა კლასი დღეს იმ გზას ადგა, რა გზასაც გუშიან ადგა. ბევრი ჩვენს ერთსულოვნების ჩვენს ჩამორჩენილობით ხსნი, მაგრამ დასავლეთ ქვეყნების მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებიც აღსატურებენ, რომ ევროპის მუშათა კლასშიც ასეთი ერთსულოვნება ბელგის მუშათა მოძრაობამ არ იცის რაა უთანხმოება და ის მუშაობის ერთი პარტიის დროშის ქვეშ, მას აქვს ერთი ტაქტიკა და ერთი სოციალისტური დოქტრინა. ჩვენ ხედავთ აქ ამ დარბაზში ამ დოქტრინისა და ტაქტიკის შემქმნელთა ვანდერველდს, დებრევიერს და გიუსმანსის (ახსიურებული ტაშის ცქმა) თქვენ იცნობთ ვანდერველდს, თქვენ ყველანი მისგან სწავლობთ. ის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტაქტიკის მქონეა. ამხანაგი დეპრევიერი პარტიულ ორგანოს რედაქტორი და სულის ჩამდგმელია. ის ბელგის არისტიდია. მისი სიტყვა მის მოყვრებასა და მის მტრებსაც სწამთ. ამხ. გიუსმანსი საუკეთესო ორგანიზატორია არა მარტო ბელგის მუშათა კლასის, არამედ ინტერნაციონალისაც რომლის მდივანდ ის 15 წლის განმავლობაში იყო. მე აღვნიშნე ზემოდ, რომ ბელგიაში დაცულია მუშათა კლასის მთლიანობა. მაგრამ იტყვიან ბელგია პატარა სახელმწიფოაო. ამ ეპოდ ჩვენთანაა ინგლისის ხალხისა და მუშათა პარტიის წარმომადგენლები. ზოუ, მაკდონალდი და სნოულენი (ახსიურებული ოვაციების ხორციელდება კარლ მარქსის სიტყვები: ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიალურმა სახელმწიფომ უნდა შექმნას ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც დაუდებს საფუძველს სოციალიზმსო. ეს სახელმწიფოა ინგლისი. ბევრს არ სჯეროდა, ამბობდნენ ინგლისის მუშებისათვის მიუღებელია სოციალიზმი, ისინი მხოლოდ ტრედუნიონისტები არიან. ინგლისის მუშათა პარტია ძლიერ ძალას წარმოადგენს არა მარტო ინგლისისათვის, არამედ ევროპისათვისაც. ამაში მუშათა პარტია მაკდონალდს უნდა უხაილდოდეს. ამ დიდ ძალას, ამ პარტიას ყვეს თავისი ხელმძღვანელი და ბელადი ზოუ, რომელიც კარგად იცნობს გარდა ინგლისის მუშათა მოძრაობისა, ევროპის მუშათა მოძრაო-

ბასაც. ამხანაგი ზოუ რუსეთში მყოფ დელეგაციის წევრადაც იყო და ის უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა იქიდან. აქ ჩვენს სტუმართა შორის არის ინგლისის მუშათა პარტიის უკიდურესი მემარტბენ ფრთის წევრი ამხ. სნოულენი, რომელიც სამაგალითო ორგანიზატორია. ის მეშობდა ინგლისის მუშა ქალებში და მოაწყო ინგლისისა და ამერიკაში მუშა ქალთა 200 მიტინგი. რაც ინგლისელ ქალის ენერჯის მაჩვენებელია. სნოულენი რუსეთში წავიდა იმ მიზნით, რათა თავის ქვეყნის მუშებისათვის ემცნო ის, რასაც კარგს ნახავდა საბჭოთა რუსეთში. მაგრამ ისიც, როგორც ზოუ უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა. აქ არიან ინგლისის საუკეთესო აღამიანები, რომლებიც ინგლისის მუშათა მოძრაობას სძლევიან, ერთიანობის და ფიქრის გამომმატებელი არიან. საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ ამ საერთო იდეის უარყოფას. მათი წარმომადგენლები რენოდელი მემკვიდრეა ცნობილ ტრიბუნის ფარგისა. ამხ. რენოდელი დღეს უმკირესობის პარტიისა, მაგრამ მუშას რომ ეს უმკირესობა უმრავლესობად გადაიქცევა. ამხ. რენოდელმა პარტიას ასე დაუყენა საკითხი: ჩვენ ან ჟორდისის და ან ლინის აზრები უნდა მივიღოთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი ჟორდისის აზრებს გაყვება. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საფრანგეთში მუშათა კლასის გაერთიანება მოხდება, ისე როგორც სხვა ქვეყანაში მოწინააღმდეგეთა წყალობით, ანუ მისი ნაკლებუნებობით. როდესაც ბოლშევიკური ექსპერიმენტები ტფილისის მოუახლოვდა, ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ის სოციალიზმი არ იყო. ეს ექსპერიმენტები საფრანგეთს რომ მიუახლოვდება აქაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ბოლშევიკებს სოციალიზმთან არაფერი აქვს საერთო. ამიტომ საფრანგეთში ამ მოკლე ხანში ჩვენ დავინახავთ ისეთივე ერთსულოვან მუშათა პარტიას, როგორც არის ბელგისა და ჩვენში. ჩვენი სტუმრები ჩვენი ამხანაგებია, რომლებსაც ჩვენ მივეყვებით საერთო გზაზე. ჩვენ კარგ პირობებში ვართ. ჩვენში ძალა-უფლება მუშათა კლასს აქვს ხელში და სოციალიზმის პრინციპებს ანხორციელებს. ეს იმით აისწნება, რომ რევოლუცია ჩვენში უფრო გვიან მოხდა, ვიდრე დასავლეთში და ამან საშუალება მოგვცა აქამდე მოვსროლიყავით. დარწმუნებული ვართ ჩვენი მთლიანობა არ დაიშლავდა და ავი მაგალითი იქნება სხვა ქვეყნებისათვის.

ვანდერველდის სიტყვა.

საქართველოს ძმებს სოციალისტებს—ამერიკის სხდომა დასავლეთის სოციალისტებისაგან. ჩვენი დელეგაციის სახელით თქვენს წინაშე მე მივესალმები 2 ნამდვილ კეთილშობილსა და სოციალიზმის წმინდა სახეებს—ამხ. ნოე ჟორდანიას და კარლ კაუტკის. მე ბედნიერი ვარ მივესალმო ჟორდანიას. როდესაც მას ვხედავ, იმ დროს მე ვფიქრობ, არც კი იქნება მეორე ქვეყანა, სადაც ერთი და იგივე კაცი ერთი დღის განმავლობაში მისალმებოდა ჩვენს დელეგაციას: სადგურზე, როგორც ს.დ. პარტიის ცენ. კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრებაში, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და აქ როგორც მუშათა ორგანიზაციების მეთაური, მე ვწითლდები ფიქრით: ნ. ჟორდანიას რომ ბელგიაში მოსულიყო, მეც მივიღებდი მას სახალხო სახლში მაგრამ, მივიღებდი როგორც ბელგის საერთო მთავრობის ვიცე-თავმჯდომარე, მაგრამ შემთქლია განვაცხადო, რომ ბელგის პროლეტარიატი მიიღებდა მას მხურვალეთ და ხელ ვაშლიდათ. მე ვწუხვარ, რომ ჩვენთან არ არის კარლ კაუტკი, რომელიც ყოველ მძიმე მომენტში ჩვენი დამცველი იყო: მე ვსურდა, რომ ის ჩვენთან ყოფილიყო ჩვენთვის საუკეთესო ჯილდო იქნებოდა—დავვენანა განხორციელებული მისი სათაყვანებელი ფიქრები. აქ ამ ორ დაუფიყვარ დღებში ჩვენ დავინახეთ ის, რაც არასდროს არ დავავიწყებდა. დემოკრატიის იდეების განხორციელება და დავინახეთ, გზა, რომელითაც მიდის საერთაშორისო სოციალიზმის იდეალების განხორციელება. პირველად ვხედავთ ჩვენ გაერთიანებულ არა მარტო სოციალისტურ პროლეტარიატს, არამედ მთელ ხალხებს, გამკვალულს სოციალიზმით. ამ ხალხისა და მისი ჯარის ბრძოლაში მონაწილეობა აუცილებელია სოციალიზმის განხორციელებისა და განმტკიცებისათვის. იმისათვის, რომ დამხობილიყო ცარიზმი სძლევიან აუცილებელი იყო ძლიერი ბრძოლა. საჭირო იყო ისეთი მეტროქონი, როგორც წერეთელი და ჩხიტი. მე მივესალმები ამ მეტროქონთ და ბრძოლაში დაღუპულ ყველა გმირებს, რომლებმ-

სასამართლო პალატის პროკურორის განცხადება

სასამართლო პალატის პროკურორი ქ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ აღნიშნავს, რომ ტფილისში სპეკულიაციის შესახებ გამოძიება სწარმოებს მისი პირადი ზედამხედველობით და ამ საქმის გამო არაფერ არ იქნება დაკავებული ვაჭრები, ან შეპყრობილი, თუ იმს არ წარუდგენენ განსაკუთრებული რაზმის უფროსის კედის მიერ ხელმოწერილ ორდერს. ვინც უორდერით იქნება განხრებილი ან დატყუებული მათ შეუძლიათ მიმართონ ბ. პროკურორის დღისით თუ ღამით ტელეფონით № 13—50 ან № 96 და დაუყოვნებლივ იქნებიან განთავისუფლებული.

ახალი ავბები

◆ **მისამართი შეცვლა.** მთავრობის თავმჯდომარეს, სახელზე ნაოლაფევიდან შემდეგი შენაარსის დეპუტატი მოვიდა: 10 სექტემბერს პარასკევს სოფელ მარტვილში მრავალ მრიცხოვან მიტინგს მოხსენება გაუკეთა მგენითიდან დაბრუნებულმა ამაზაფმა ვლასა მგელაძემ. მან კრებას გააცნო მომენტი და ხალხის სულიერი განწყობილება. კრება მოხსენებით მეტად კმაყოფილი დარჩა. უცხადებს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას ნდობას და უთქვამს ყოველ-ნაირ დახმარებაში.

◆ **ელჩი განცხადება.** საქართველოს რესპუბლიკის ადერბეიჯანის რესპუბლიკასთან არსებული საელჩო და საკონსულო აცხადებს რომ საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც ადერბეიჯანს მიდიან თან უნდა იქონიონ პასპორტი სადაც უნდა ეწეროს გარკვევით თუ რა ქვეყნის მოქალაქენი არიან.

მოქალაქენო

გაცნობებთ, რომ აგვისტოდან დღემდის ზოლერით ავთ გახდა 54 კაცი, მათ შორის აგვისტოს განმავლობაში 26; სექტემბერში კი დღემდის ე. ი. 10 დღის განმავლობაში 28.

მათგან გარდაიცვალა 23 კაცი. ცხადია ზოლერა ფართოდება და მისგან სიკვდილიანობაც დიდია. შივაქცევ თქვენ ყურადღებას ამ გარემოებას და მოგიწოდებთ:

- 1) დაიცავით საერთო სისუფთავე თქვენს ბინებში.
 - 2) არ დალიოთ გადაუღებელი წყალი.
 - 3) დაიცავით საქმელ-სამელი ბუზებისაგან.
 - 4) ერიდეთ ხილს; ნამეტურ ყურძენსა და ლელვს, რომელთა გასუფთავება შეუძლებელია.
 - 5) აიცილით ზოლერის საწინააღმდეგოთ.
- შელოთ ამით უზრუნველ ჰყოფთ თქვენს სიცოცხლეს. ზოლერის საწინააღმდეგო აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათის ბაზარი) და ქუჩის სამკურნალოში (ანდრეევის და ჩერქეზოვის ქუჩ. კუთხე) I—I სათამდე.

ტფილ. ქალაქის საბჭო

სექტემბრის 13, ქალაქის საბჭომ შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა, 1. დამტკიცებულ იქნას 25^{1/2} მილიონ მანეთის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დახმარება იქნისა და იქნისში მოსამსახურეებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემაზე. 2. ვადიდვას ლომთათქის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო-სათვის 25 ათასი მანეთი. 3. სატარიფო პალატის მომეტება აგვისტოს 1 დან ყველა მოსამსახურეებისა და მუშების ჯამაგირზე გავრცელდეს. 4. დამტკიცდეს, გამგობის მოხსენება ალექსანდროვის საავადმყოფოდან სტუდენტების პრაქტიკულ მეცადინობის საკიროებისათვის ქირურგიული და ტერაპევტიულ კლინიკის განხრის შესახებ 5. დამტკიცდეს ფუნქციონირის აღსადგენათ 900,000 მანეთის ხარჯი. 6. მიღებულ იქნეს ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მოძრავი და უძრავი ქონება.

მილიციის

— 13 სექტემბერს ლამბრინოს გეორგიის ძემ კიციისა სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა რომ 12 სექტემბერს საღამოს

6 საათზედ მის მალაზიდან (პუშკინის ქუჩა 8), გაიტანეს სხვა და სხვა ფეხსაცმელები ღირებულებით 50.000 მანეთის. სისხლის სამართლის მილიციის მღებულ ზომებით გამოიკვა რომ ქურდობა ჩაუდენია ვინმე ოლანგ ტერ-ზახაროვს, და ალექსის თარალაშვილს, რომელნიც დაქერის შემდეგ გამოტყდნენ თავის დანაშაულობაში და აღიარეს რომ მათთან კიდევ ქურდობაში იყო შესაქ პირიც გრიგოლ მღებრიშვილი, რომელმაც მოსწრო მიმალა. ჰლებრიშვილის დასაქერად მიღებულია ზომები. ტერ-ოვანეზოვი და თარალიშვილი დაპატიმრებულ არიან. ყველა დაკარგული ნივთები გადაეცა პატრონს.

— 10 სექტემბერს სტეფანე ვასილის ძე ნასიბოვმა სისხლის სამართლის მილიციას განუცხადა, რომ მის ბინიდან მოუპარიათ: ოქროს საათი, ბრილიანტი და სხვა ნივთები ღირებულებით 200.000 მანეთის. სისხლის სამართლის მილიციის მიღებულ ზომებით აღმოჩნდა, რომ ეს ქურდობა ჩაუდენია არფთინ მინასევის ძე ტერ-ტომასიანს, რომელიც მილიციამ შეიპყრო და თავის ბოროტ-მოქმედებაშიც გამოტყდა და განაცხადა კიდევ თუ მოპარული ნივთები ვის მიჰყიდა. საქმის გამოძიება სწარმოებს.

— 13-ს სექტემბერს ტფილისის საკრებულოს ოფიციატის ალექსი ედნაოვის ბინაზე (ვაკეზე. საკუთარი სახლი) სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილ იქნა 12 ცალი სკამი „ქმ. ტონეტის“ ფაბრიკის, ბეკდით „ტ. ქ.“ გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა რომ ედნაოვს ეს სკამი სისტემურად უპარნია ტფილისის საკრებულოდან. ა. ედნაოვმა თავის თავი დამნაშავეთ არ აღიარა და სთქვა რომ სკამები მან იყიდა უცნობ პირისგან. ედნაოვი საქმის გამოძიებამდე დაქერილია ციხეში.

— 11 ენკენისთვის ბათუმის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის დეპუტის თანხმად ტფილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ ასაღლაფევი. მის ბრალდება ქურდობა. დაქერილია საღლაფევი კონვით ვიჯაზანა ბათუმში.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი მიხეილ პეტრეს ძე იაკუშვიცკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2686 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქუთაისის ქალაქის მილიციიდან მოსეს მისიის ძე არონოვიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2717 3—2

რაიკარგა პასპორტი № 445 მიღებული სენაკის მაზრის ნავაზაოს თემიდან და სამხედრო ნუსხა სენაკის სამხედრო უფროსისგან № 3. ლავრენტი ბეგოს ძე გვაზავას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2718 3—2

დაიკარგა პასპორტი გაცემული სოფ. ყვარლის კომისარის მიერ 1919 წ. ზაქარია იოსების ძე მირმიშაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2708 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალ პაიაზეთში ქალაქის მართველობიდან ზაჩატურ ტატეოსის ძე შუხურიანის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2711 3—2

დაიკარგა მოწმობა მიღებული მილიციის სამმართველოდან ანა ბაგდანოვის ასული მელიოიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2715 3—2

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან პეტრე იოსების ძე ზუბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2716 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფლების მოწმობა № 497, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იასონ ხაჩიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2700 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მილიციონერი ალექსანდრე დეკანოზიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2696 3—3

დაიკარგა რესტორანის ნებართვა № 1034 აქცენტის სენიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2702 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფლების მოწმობა, მიღებული ალექსინდროპოლის სამხედრო საკრებულოდან, მაღაზიის პატენტი და ექსი თავის ვადიანი საქართველოში წასასვლელი მოწმობა № 13593, მიღებული საქართველოს საკონსულოდან სოხეთში—არტაშეს არიუტინას ძე პოლისიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2695 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ელენე გიორგის ასული ეფიმივისამ შემოიტანა განაცხადება, რომ მისი ქმარი თევდორე (ფედა) მიხეილის ძე ეფიმივი, რომელმაც ჯვარი დაიწერა 1916 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1918 წელს, მის გამო აღნიშნული ელენე გიორგის ასული ეფიმივისა თხოვლობს მისგან განქორწინებას. ქველა, ვინც კი იცის დაკარგული თევდორე მიხეილის ძე ეფიმივის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საკარო ცნობები დლიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2717 3—2

დაიკარგა პასპორტი № 611 რაფიელ სამსონის ძე მაღაიანის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2703 3—3

დაიკარგა დროებითი მოწმობა ალექსანდრე გრიგოლის ძე ჩენენოვის სახელზე, მიღებული I სამილიციო კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2704 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული, მე-6 კომისარიატიდან ქ. ბაქოში, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან დიმიტრი (იგვე ვიქტორ) გაბრიელის ძე ბლანჩივადის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2694 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სურენ გრიგოლის ძე მარტიროზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2692 3—3

დაიკარგა ბრუნვის სისტემის რეგოლფერი № 275081 მისი ნებართვით, მიღებული კავშირი „მწყემსი“ საგან და სხვა საკარო საბუთები—ბავრატ მიხეილის ძე კაშველაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2707 3—3

დაიკარგა ნუსხა სამხედრო სამსახურის, მიღებული ქუთაისის სამხედრო სამაზრო სამმართველოდან 1919 წ. № 2338 და მოწმობა მიღებული ქუთაისის წაზრო ერობიდან 1919 წ. 10 მაისს № 455 ივლიანე პავლეს ძე კობრიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2709 3—2

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიულ მაღაზ. ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე ბასინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2719 3—1

დაიკარგა № 18 მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფ. ებრაელთა რავერისგან ლევ იაკოფის ძე შნაიდერის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2721 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მიხეილ დიმიტრის ძე წვერავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2722 3—1

დაიკარგა მე-5 კლასის მოწმობა მიღებული გორის ვაჟთა გიმნაზიიდან 29 იანვარს 1920 წ. № 30. ეგვენია ნიკოლოზის ასული ყულიჯანოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2724 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი მიღებული ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიიდან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან გრიგოლ ჭივანეს ძე წველაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2729 3—1

დაიკარგა დროებითი სამსახურის ნუსხა მიღებული ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გერასიმე კონსტანტინეს ძე კობრიძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2730 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან და ფულის კეიტანციები მიღებული საბარგო ეტლების ბიუროდან გეორგი დარბოს ძე დარჩივის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2737 3—1

კანტორის განცხადება

ეფლფასისა და ქალაქის სავაჭრობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

აღიკაბე თვეში 200 მ. სალკე ნომერი უვალგან 10 მ.
გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს 800 მ. ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ზოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160-მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხაზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი ნიხაზე არ დაიბეჭდება.

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება
და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის სანსკრაულურ ფოსტის უანოგაში (კლასანოვის პრისკ.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები
სადაც ამაზადენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყებით სწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკისა, 3) ჯანმრთელობის (საერომა ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გავრცელდება ერთი წლიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითუფასი თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების დირსეულად დამთავრებისათავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. 3—2